დაიწყო დიდი მარხვა, უფალმა გაგაძლიეროთ!

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №4(18) 2012 წ. 16-29 თებერვალი ფასი 50 თეთრი

„მწვრის სხივს ჩაეცვა ჭალათის ქურქი
და გოლგოთაზე მიჰყავდა ყინვა“...

გიორგი მეკოკიშვილი

ზამთრის ეპილოგი

ზამთარი ყრიდა პირიდან ცეცხლებს
გაუჭრეს ყველა მაღალი კარტი,
სადავეები ხელთ ეპყრათ მერცხლებს
თებერვალს ძვლებში ამტვრევდა მარტი...
ლხვებოდა მიწის გამხმარი ქერქი
სტიმულს აძლევდა მას თოვლის გმინვა.
მზის სხივს ჩაეცვა ჭალათის ქურქი
და გოლგოთაზე მიჰყავდა ყინვა...
ღონეგამოცლილს ცვლიდა ძლიერი,
ირგებდა ადგილს დანაცრულისას
და ამ სურათის მკაცრი იერი
პროლოგს ჭედავდა გაზაფხულისას...

მუნიციპალური გვერდი



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

21 თებერვალი 2012წ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირზე განხილულ იქნა ის საკითხები, რომლებიც უხვთოვლიანობასა და ამასთან დაკავშირებით შექმნილ მდგომარეობას შეეხებოდა. ამ დროისთვის უკვე აღარ წარმოადგენდა პრობლემას ტერიტორიულ ერთეულებთან თოვლით ჩაკეტილი მისასვლელი გზები.

თათბირზე, ასევე, ითქვა საქართველოს პრეზიდენტის ახალი ინიციატივის – ენერგოვაუჩერის (20 ლარის ოდენობით) გაცემის თაობაზე, რომელიც საქართველოს მოსახლეობას დაეხმარება ყინვიანი ზამთრის პერიოდში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდაში.

ასევე ყურადღება გამახვილდა ქართულ არმიაში საგაზაფხულო გაწვევაზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24 თებერვლის სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე პაატა ბუზარიაშვილი.

სხდომაზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2011 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვის და ადგილობრივი ფინანსების სამსახურის უფროსმა ნინო ქურხულმა.

ასევე ქ-ნმა ნინო ქურხულმა გააკეთა მოხსენება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

საკითხი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის ხარისხის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კვლევის ცენტრის შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №36 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ სხდომაზე განსახილველად წარმოადგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწემ ქეთევან ნიკოლაიშვილმა. მანვე წარმოადგინა საკითხი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის ხარისხის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კვლევის ცენტრის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №37 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სხდომაზე „შპს აღმაშენებლის“ ლიკვიდაციის შესახებ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ ივანე გრძელაშვილმა.

სხდომაზე განიხილეს ასევე სხვადასხვა საკითხები. განხილულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

დანიშვნა

2012 წლის 9 თებერვლიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ სოფლის მეურნეობის დარგში დაინიშნა ლაშა შიოშვილი

დაიბადა 1979 წლის 27 აგვისტოს ქ. თბილისში.

1995 წელს დაამთავრა საგარეჯოს რაიონის სოფ. ნინოწმინდის საშუალო სკოლა;

2000 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ტექნოლოგიის და მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი;

2005 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;

1999-2005 წწ. მუშაობდა საგარეჯოს რაიონის გამგეობაში საინფორმაციო განყოფილების მთავარ სპეციალისტად;

2005-2008 წწ. მუშაობდა შსს საგარეჯოს რაიგანყოფილების უფროს ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე;

2008-2012 წწ. მუშაობდა შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს განყოფილების უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე.

აქვს პოლიციის კაპიტნის წოდება.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

დანიშვნა

2012 წლის 17 იანვრიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსად დაინიშნა ალექსი შათირიშვილი.

ალექსი შათირიშვილი დაიბადა 1973 წლის 20 აპრილს, საგარეჯოში. 1992 წლიდან 2005 წლამდე მუშაობდა საგარეჯოს საგადასახადო ინსპექციაში. 2005 წლიდან 2012 წლამდე იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის განყოფილების გამგე. არის უმაღლესი განათლებით – ეკონომისტი (ვაჭრობის ეკონომიკა და მართვა) და იურისტი (მეორადი ფაკულტეტი)

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა კვლავ სოფლის მხარდასაჭერადაა

სათემო შეხვედრები დაიწყო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი და მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ილია ჭიაურელი გიორგიწმინდის მოსახლეობასთან შეხვედრაზე

ბოლო წლებში ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტებით უამრავი სასიკეთო საქმე გაკეთდა: ამოიცვალა, ან მთლიანად შეიცვალა ძველი, ზოგან უკვე სიძველისაგან გაუქმებული სასმელი წყლის რეზერვუარები, კეთილმოეწყო სასმელი წყლის სათავე ნაგებობები, სასმელი წყლის სისტემა პირველად იქნა შეყვანილი მთელ რიგ ქუჩებში, დასახლებებში; რეკონსტრუქცია გაუკეთდა სასოფლო გზებს, მოიხრეშა მინდვრებში და ვენახებში მიმავალი გზები, მოწესრიგდა სანიაღვრე და სარწყავი სისტემა, შემოიღობა სასაფლაოები, მოეწყო სარიტუალო დარბაზები... 1 მილიონ 975700 ლარის სამუშაოების შესრულებაა 2012 წლისათვის გათვალისწინებული, ხოლო ტერიტორიულ ერთეულებზე ეს თანხა შემდეგნაირადაა გადანაწილებული. გომბორში ამ პროგრამით 19196 ლარის სამუშაოები შესრულდება, რუსიანში – 5382 ლარის, ვერონაში – 5608, ვაშლიანში –2390, ასკილაურში – 5759 ლარის, უჯარმაში – 9926, პალდოში – 2402, მუხროვანში – 2214 ლარის, კოჭბანში – 6337, ოთარაანთკარში – 2377, სასადილოში – 5194, გორანაში – 5596, იკვლივგორანაში – 2440 ლარის, ხაშმში – 32859 ლარის, პატარძეულში – 52838, ნინოწმინდაში – 41906, წყაროსთავში – 24867, გიორგიწმინდაში – 43615, ანთოკში – 5131, მარიამჯვარში – 2188, თოხლიაურში – 28021, კრასნოგორკაში – 5634, მანავში – 54660, ბურდიანში – 2628, დიდ ჩაილურში – 24754, პატარა ჩაილურში – 25696, კაკაბეთში – 55200, ვერხვიანში – 14911, ყანდაურაში – 27204, ზემო ყანდაურაში – 2503, ბადიაურში – 31225, ბოგდანოვკაში – 16168, შიბლიანში – 15225, იორმუღანლოში – 42345, ქეშალოში – 60980, დუზაგრამაში – 20314, პალდოში – 18932, წიწმატიანში – 27078, ზემო ლამბალოში – 65415, ქვემო ლამბალოში – 67664, თულარში – 60778, კაზლარში – 26374, უდაბნოში – 15916 ლარის სამუშაოები.

წყაროსთავი

გიორგიწმინდა

ნინოწმინდა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში დაიწყო სათემო შეხვედრები – კრებები, სადაც მოსახლეობა მსჯელობს, გამოთქვამს მოსაზრებებს, აყენებს წინადადებებს და საბოლოო სახეს აძლევს იმ პრიორიტეტულ საკითხებს, რომლებიც „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის დაფინანსებით უნდა გადაიჭრას.

ერთი დღე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლებისათვის

თოვლის ტყვეობიდან ხანძარში

ღიდთოვლობამ მრავალი პრობლემა შეუქმნა ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ტერიტორიულ ერთეულში მისასვლელი გზა იწმინდებოდა ადგილობრივი ძალებით – მძლავრი ტექნიკით, ტერიტორიულ ერთეულებში არსებული ტრაქტორებით. როგორც ყოველთვის, ამ დღეებშიც მობილიზებული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური. 10 თებერვალს თოვას თან ძლიერი ქარიც დაერთო, რომელსაც ცივ-გომბორიდან გადმოჰქონდა თოვლი და თითქმის უჩინარს ხდიდა ავტოსავალ თუ მინდვრებში გამავალ გზებს. აი, სწორედ 10 თებერვლის შემთხვევებზე გვიამბობს ამ *სამსახურის უფროსი* ზაქრო ოტიაშვილი:

დღის 16 საათსა და 50 წუთზე საქართველოს საგანგებო სიტუაციის მართვის დეპარტამენტიდან შეტყობინება მივიღეთ სამსახურში – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ტერიტორიულ ერთეულ იორმუღანლოში, თბილისელი სამი მონადირე ავტომანქანა „ჯიპით“ თოვლის ნამქერის ტყვეობაში იმყოფებოდა და დახმარებას ითხოვდა. აღნიშნულ პიროვნებებს დავუკავშირდით ტელეფონით, რომლებმაც თითქმის ზუსტად დაასახელეს ადგილსამყოფელი, საიდანაც გამოსვლას უშლიდა ქარის მიერ მიტანილი თოვლი, ამიტომ მათ ტექნიკით თუ დავეხმარებოდით. ჩვენ შექმნილი მდგომარეობის შესახებ ვაცნობეთ მუნიციპალიტეტის გამგებელს გია ჩალათაშვილს, გამგებლის მოადგილეს შალვა ჯაბადარს და ადგილზე მისასვლელად გავედით სამი კაცი. ჩემთან ერთად იყო მძღოლი სუტო ამაროვი, მეხანძრე თამაზ გილაშვილი. ჩვენ მონადირეებთან მისასვლელად გზად გამოგვყვა ბადიაურის რწმუნებული ედვარდ ნაცვლიშვილი. მართალია, რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო ტრასაც და იორმუღანლოს სოფლის გზაც მთლიანად ახალი გაწმენდილი იყო თოვლისგან, მაგრამ იორმუღანლოს ბოლოში ისეთი ნამქერები გვხვდებოდა, ხილვადობას ართულებდა ძლიერი ქარი და მისგან მოტანილი თოვლი, თითქმის შეუძლებელი ხდებოდა იმ ადგილამდე, ე.წ. „ალანდარამდე“ მისვლა. მალე ჩვენი მანქანაც, რომელიც „ზილ-131“-ის მარკისაა და საკმაოდ მაღალი გამავლობისაა, თოვლში ჩაეფლო – უკვე შეუძლებელი გახდა არამცოუ წინ წასვლა, აღნიშნული ადგილიდან უკან გამოსვლაც კი. დავუკავშირდით იორმუღანლოს რწმუნებულს თავთიხ გაჯიევს და თულარის რწმუნებულს ადამ ედიგაროვს, რომლებმაც მოგვაშველეს ძლიერი ტექნიკა და დიდი ხნის მცდელობის შემდეგ ჩვენი მანქანა გამოვიყვანეთ იმ ადგილიდან. ამასთან, ყოველ ნახევარ საათში ვუკავშირდებოდით თოვლის ტყვეობაში მყოფ მონადირეებს, გვაინტერესებდა მათი მდგომარეობა, მაგრამ საგანგებო სიტუაციის მართვის დეპარტამენტსა და რეგიონალური საგანგებო სიტუაციის მართვის ხელმძღვანელობებს ვაცნობეთ, რომ ჩვენი ძალებით შეუძლებელი იყო ასეთ პირობებში მონადირეების დახმარება. ამასთან, ჩვენს დასახმარებლად და ზომების მისაღებად ბ-ნები ილია ჭიაურელი და შალვა ჯაბადარიც მოვიდნენ ადგილზე. უკვე ღამის 12 საათი სრულდებოდა და ამ დროს ჩვენ გადმოგვცეს შეტყობინება – საგარეჯოში მოქალაქე გელა ქურხულის კუთვნილი ორსართულიანი სახლი იწვოდა და აუცილებელი იყო მესამე სახანძრო მანქანაც.

ხანძრის ადგილზე მისულებს მართლაც საშინელი მდგომარეობა დაგვხვდა – სახლის მეორე სართულს ცეცხლი ეკიდა, თუმცა დილის 5 საათისთვის ხანძარი ლოკალიზებული იყო და მთლიანად ჩამქრალი, მაგრამ ვერც მეორე სართულის გადარჩენა შევძელით და ხანძრის ბოლომდე ჩაქრობამდე გავარკვიეთ, რომ იქ ორი გვამიც იყო. ერთი სახლის პატრონი – გელა ქურხული და მეორე მეუღლის მიერ ამოცნობილი – თემურ ქოქიაური. მოგეხსენებათ, ამ დროს რაოდენ ძნელია გვამთან მიკარება, ამიტომ ისევ ჩვენი სამსახურის თანამშრომლებს მოგვიხდა საბოლოოდ დაწვას გადარჩენილი სხეულის, კიდურების მოძებნა და შეგროვება. ახლა ხანძრის მიზეზებს საგარეჯოს პოლიციის სამმართველოს საგამომძიებლო ჯგუფი იკვლევს და ხანძრისგან მიყენებულ ზარალსაც ადგენენ.

რაც შეეხება ე.წ. „ალანდარაში“ თოვლის ტყვეობაში მყოფ მონადირეებს, თოვლის ტყვეობიდან ისინი საქართველოს საგანგებო სიტუაციის მართვის დეპარტამენტის სპეციალისტებმა, საკმაოდ მძლავრი ტექნიკის გამოყენეით იხსნეს.

ჩაიწერა თინა ილაურმა

ქალაქი საგარეჯო – 50

ქალაქი დღევანდელი გადასახედიდან

მიმდინარე წლის დეკემბერში საგარეჯოს ქალაქად გამოცხადების 50 წელი სრულდება. რა სახით მოაღწია დღევანდელობამდე XVII საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ იავარქმნილმა და გავერანებულმა, შემდგომში ქართლ-კახეთის მეფეების ხელშეწყობით დიდი საეკლესიო მოღვაწისა და ხუროთმოძღვრის ონოფრე მაჭუტაძის მცდელობით ხელახლა დასახლებულმა საგარეჯომ, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა მეფის რუსეთისა და ბოლშევიკური რეპრესიების სიმწარე, შევეცდებით შეძლებისდაგვარად მოგაწოდოთ უტყუარი ცნობები.

მესამე ათასწლეულის, მეორე ათეულის დასაწყისისათვის საგარეჯო საკმაოდ განვითარებული, მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიული ერთეულია, რომელსაც აღმოსავლეთიდან წმინდა გიორგის სახელობის სოფელი გიორგიწმინდა, – მდინარე წიფლისხევის კალაპოტით ესაზღვრება, ხოლო დასავლეთიდან – ასევე ქართველთა დიდი განმანათლებლის წმინდა ნინოს სახელდებული, – ნინოწმინდა, ჩრდილოეთიდან ცივ-გომბორის კალთები და სამხრეთიდან ივრის ვრცელი ზეგანი.

2012 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ქალაქის სავარგულების მთლიანი ფართობი 12703 ჰექტარს აღემატება, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს 10548 ჰექტარი უკავია. აქედან, სახნავი ფართობების წილად 4084 ჰექტარია. მრავალწლიან ნარგავებს – 1017, საძოვრებს – 5399, ვენახებს 550 ჰექტარი უკავიათ. ამ 550 ჰექტარი ზვრიდან 440 ჰექტარზე „რქაწითელია“ გაშენებული, დანარჩენ 110 ჰექტარზე კი „საფერავი“. მთლიანი ტერიტორიიდან საგარეჯოელებს სათიბებისათვის 26 ჰექტარი აქვთ გამოყოფილი, ამაზე ცოტა ნაკლები –22 ჰექტარი კი თევზის სატბორე მეურნეობებს აქვს დათმობილი.

რაც შეეხება ქალაქის ტერიტორიას – იგი სამოსახლო – საკარმიდამო ნაკვეთებიანად 92 ჰექტარზე, ანუ 92000 კვადრატულ მეტრზეა განაშენიანებული. 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აქ 4351 კომლი მოსახლეა აღრიცხული, რომელთა საერთო რაოდენობა 12566 აღწევს. აქედან ქართველია 12210, დანარჩენი კი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, – სომხები, რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები და ა.შ.

ქალაქში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის, სავაჭრო, საგანმანათლებლო თუ სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების სიმრავლის მიუხედავად მოსახლეობის უმრავლესობის საქმიანობის ძირითადი სფერო მაინც სოფლის მეურნეობაა – მისდევენ მევენახეობას, მემინდვრეობას, მეცხოველეობას, მეფუტკრეობას, საკვებწარმოებას და სხვა. წლის დასაწყისისათვის მათ მფლობელობაში აღრიცხული იყო 6000 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 17 ათასი ცხვარი, 24 ათასი ფრთა ფრინველი, 700 ღორი, 450 ოჯახი ფუტკარი, 90 ცხენი, ჭავთ სახედრებიც. გაზაფხულის დადგომის კვალობაზე, რა თქმა უნდა, მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება.

რაც შეეხება საშემოდგომო თავთავიანებს – წლევანდელი მოსავლისათვის აქვთ 700 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი, ქერი 120 ჰექტარზე. გამოიამინდებს თუ არა, დაიწყება საგაზაფხულო კულტურების ხვნა-თესვისათვის მზადების კამპანია.

როგორც ცნობილია, საგარეჯო კლიმატურად გვალვიანი, ქარისმიერი ზემოქმედების ზონაა, რასთან საბრძოლველადაც აქაური გლეხკაცობის სამსახურშია მდინარე იორის, ივრის წყალსაცავის მარჯვენა და მარცხენა მაგისტრალური არხები, ქალაქზე ჩამომავალი მდინარე თვალთხევის, „მახიის“ წყლები. რა თქმა უნდა, ეს წყლები სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის გარდა პირუტყვის დასარწყულებლადაც ვარგისია და გამოიყენება. კახეთის გზატკეცილზე აქაური ფერმერების და არა მარტო მათთვის გახსნილია აგრომომსახურების ცენტრი (უფროსი გ. მინდიაშვილი), სადაც მათ შეუძლიათ შეიძინონ მემცენარეობისთვის საჭირო სასუქები და შხამქიმიკატები.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკას, საგარეჯოელი გლეხკაცობის სამსახურშია 4 თანამედროვე „MF-3095“ და „MF-290“ მარკის ორორი ტრაქტორი, რითაც მათ „მექანიზატორი-2008“-ის ამხანაგობა ემსახურება. ამას გარდა მოსახლეობას კერძო საკუთრებაშიც გააჩნია ამ დანიშნულების ტექნიკა, ისე, რომ მიწის სამუშაოებში მათ ამ მხრივ ხელისშემშლელი პრობლემები არ აქვთ.

2011-2012 წლისათვის საგარეჯოში 1672 სასკოლო ასაკის მოსწავლეა აღრიცხული, რომელთა სწავლა-განათლების საქმეს ოთხი საჯარო და ერთი კერძო სკოლა ემსახურება. ქალაქის ერთ-ერთი პირველი და უძველესი – სასწავლო დაწესებულებაა საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლა (დირექტორი დალი ბედოშვილი). აქ ამ სასწავლო წელს 533 მოსწავლეა დარეგისტრირებული, რომელთა სწავლა-აღზრდას 44, აქედან ორი სერტიფიცირებული პედაგოგი ემსახურება. ქვეყნის ხელისუფლებისა და შესაბამისი სამინისტროს ძალისხმევით ამ სკოლის მოსწავლეებს ყველა შესაბამისი პირობა აქვთ შექმნილი თანამედროვე განათლების მისაღებად.

ამავე პერიოდისათვის საგარეჯოს ნ. ჭანტურიას სახელობის მეორე საჯარო სკოლაში (დირექტორი მანანა ცუცქირიძე) ირიცხება 360 მოსწავლე. მათ განათლებას აქ 35, აქედან 5 სერტიფიცირებული პედაგოგი უძღვება. მათ შორის სერტიფიცირებული გახლავთ სკოლის დირექტორიც. სხვათა შორის, ეს სკოლა ბოლო წლებში რაიონის საგანმანათლებლო სივრცეში ლიდერობს მედალოსან სკოლადამთავრებულთა გამოშვებაში. წინა სასწავლო წელს აქ შვიდი მედალოსანი მოსწავლე ჰყავდათ, აქედან 3 ოქროს და 4 ვერცხლის, ამაზე მეტი, – 14 მედალოსანი კი წინა სასწავლო წლისათვის. წელს კი აქ 18 გამოსაშვები მოსწავლიდან 4 მედალოსნობის კანდიდატი ჰყავთ.

ამ სკოლებთან შედარებით მცირე კონტიგენტიანია საგარეჯოს III საჯარო სკოლა (დირექტორი ლელა ფანოზიშვილი), სადაც მიმდინარე სასწავლო წლისათვის 165 მოსწავლეს ითვლიან. აქ მათი განათლებისათვის 27, აქედან 4 სერტიფიცირებული პედაგოგი იღწვის.

არა მარტო საგარეჯოში, არამედ ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეშიც ცნობილია ქალაქის მეოთხე საჯარო სკოლის (დირექტორი ნელი ბალახაშვილი) სახელი. აქ არა მარტო საგარეჯოელი მოსწავლე-ახალგაზრდობა ეუფლება სწავლა-განათლების საფუძვლებს, არამედ ტარდება რაიონული თუ რესპუბლიკური მნიშვნელობის საგანმანათლებლო ღონისძიებები. 2011-2012 წლისათვის ამ სკოლის კედლებში 539 საგარეჯოელ მოსწავლეს ითვლიან, რომელთა სწავლა-აღზრდის სამსახურშია 53 პედაგოგი, აქედან შვიდი სერტიფიცირებული, მათგან ერთი საუკეთესო მასწავლებლის სერტიფიკატის მფლობელი მასწავლებელი. რა თქმა უნდა, ქალაქის ყველა დასახელებული სკოლა აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სპორტული დანიშნულების დარბაზებითა და მოედნებით, კომპიუტერული, ვიდეო-და აუდიო მომსახურებითა და ინტერნეტით.

ამას გარდა, საგარეჯოელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის სამსახურშია „თამარ გარეჯელის“ სახელობის კერძო საერო სკოლა (დირექტორი თამარ საგინაშვილი), სადაც 45 მოსწავლეს ოცამდე პედაგოგი ემსახურება. აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა, ამ სასწავლო წლისათვის შპს „ილია“ – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების X-XI-XII კლასებში (დირექტორი იოსებ მატიაშვილი) ირიცხება 40 მოსწავლე, ხოლო პროფესიულ სპეციალობებზე 30 მსმენელი. ქალაქში ასევე მოქმედებს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის საგარეჯოს სასწავლო ცენტრი (დირექტორი დარეჯან გილაშვილი), სადაც პროფესიულ განათლებას 45, ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის საფუძვლებს კი 30 მოსწავლე ეუფლება. ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ქალაქის (და არა მარტო მათი) მოსწავლეთა სწავლა-განათლების დონის ამაღლებისა და სხვადასხვა პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების საქმეში საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს (დირექტორი თამარ ჯაბადარი) რომლის მუშაობაც არაერთხელ აღნიშნულა რაიონული თუ ქვეყნის მასშტაბით.

სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებისა და შესაბამისი გარემოს სიმცირეუქონლობას არც ჩვენი საგარეჯოელი სკოლამდელი ასაკის პატარები „უჩივიან“. მათი სწავლა-აღზრდის სამსახურშია ხუთი ამ ტიპის სასწავლო დაწესებულება, სამი საბავშვო და ორიც ბაგა-ბაღი. აქედან საგარეჯოს პირველ საბავშვო ბაღში (დირექტორი თამარ ლაფერიშვილი) წელს 160 სხვადასხვა ასაკის ბავშვს ითვლიან, საგარეჯოს მეორე საბავშვო ბაღში (დირექტორი ლილი ლოლაძე) – 20, საგარეჯოს №3 საბავშვო ბაგა-ბაღში (დირექტორი ნანა სულიკაშვილი) – 35, საგარეჯოს №1 ბაგა-ბაღში (დირექტორი ნანა კუჭუაშვილი) – 35, საგარეჯოს №3ბაგა-ბაღში (დირექტორი მზია ბეჟიტაშვილი) – 140 აღსაზრდელს. ანუ ამ სასწავლო-წლისათვის ქალაქის ამ დაწესებულებებში 390 პატარა ეზიარება თანამედროვე სწავლა-განათლების საფუძვლებს.

ვინაიდან საგარეჯო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქციასაც ასრულებს, ქალაქში თავმოყრილია ამ და სხვა დანიშნულების სამსახურები და უწყებები. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ადმიანისტრაცია, ქალაქის მერია, საჯარო და სამოქალაქო რეესტრის სამსახურები, სასამართლო, პოლიცია; სანოტარო კანტორა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების სააგენტო.

ქალაქში გახსნილია ხუთი საბანკო დაწესებულების – „ლიბერთი ბანკის“, „ბანკი კრედოს“, „საქართველოს ბანკის“, „ბანკი კონსტანტას“ და „ფინკა ბანკის“ ადგილობრივი ფილიალები, ქალაქში უამრავია და მოქმედებს სხვადასხვა სახის გადამამუშავებელი საამქროები, ავტოპროფილაქტიკები, სავაჭრო, კვებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, ცხოველთა ორი სასაკლაო, რომელთა საერთო რიცხოვნობა 350-ს აჭარბებს. ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულია „სოკარისა“ და სხვა ფირმების ექვსი ავტო და გაზგასამართი სადგური. მოქმედებს სამი პირველადი ღვინის ქარხანა, რკინიგზის სადგური.

ამ ბოლო ხანებში ბევრი ახალი ობიექტი ჩადგა ქალაქის მოსახლეობის კულტურული დასვენება-გართობის სამსახურში. გაიხსნა სამი ახალი სკვერი, მათ შორის ერთი ახალგაზრდული სკვერი (ერეკლე მეორის ქუჩაზე შადრევნით). ქალაქის და მთელი მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრია საგარეჯოს კულტურის სახლი (მენეჯერი თინათინ მეზვრიშვილი). არაერთი კულტურულ-გასართობი პროგრამა და ღონისძიება განუხორციელებია და ახლაც ახორციელებს ა.ი.ჯ. საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანება (დირექტორი ბესო ღვინაშვილი).

ქალაქის მოსახლეობის წიგნიერების ამაღლების სამსახურშია საგარეჯოს ცენტრალური (მენეჯერი ლია გოდერძიშვილი) და საბავშვო (მენეჯერი ვერიკო კერატიშვილი) ბიბლიოთეკები. საქვეყნოდაა აღიარებული საგარეჯოს სახალხო თეატრისა და თოჯინების თეატრის (დირექტორი მარინა შიოშვილი) მუშაობა. გახსნილია ქართული ხალხური და სხვა ცეკვების შემსწავლელი სტუდიები და ჯგუფები.

შესანიშნავი პირობები აქვთ ქალაქის სპორტსმენებს წვრთნებისა და მაღალი სპორტული შედეგების მისაღწევად. აქ მათ სამსახურშია ორი სპორტული სკოლა. საგარეჯოს №69 კომპლექსური სკოლა (დირექტორი თემურ კურდღელაშვილი) სადაც გახსნილია ძიუდოს, თავისუფალი, სამბოს, ქართული ჭიდაობის, ჭადრაკისა და მძლეოსნობის ჯგუფები, საგარეჯოს №105 აიპ სასპორტო სკოლის (დირ. ს. მარხვაშვილი) დახურული და ღია აუზი კი საგარეჯოელ პატარებს ცურვის თანამედროვე მეთოდების დაუფლების საშუალებებს უქმნიან. საგარეჯოელი მოჭიდავეების სამსახურშია თანამედროვე დონეზე აღჭურვილი არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტკომპლექსის ძიუდოს დარბაზი ორი ტატამით, საკუთრების დაცვის პოლიციისა და 69-ე სპორტსკოლის დარბაზები; სპორტკლუბ „გარეჯის“ სხვადასხვა ასაკის ფეხბურთელებს ემსახურებათ ქალაქის სტადიონი და 105-ე სასპორტო სკოლასთან არსებული ხელოვნურსაფარიანი მინი-სტადიონი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კლიმატის ცვლილება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში
როგორი კლიმატია ახლა და როგორი იქნება 2020-2050 წლებში?!

რა პროგნოზებს გვპირდებიან მეცნიერები?!

მოამზადა
გივი დაბახიშვილმა
577 95 14 08

ჟლიმატის თანამედროვე გლობალური დათბობის პროცესი, კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემებიდან ერთ-ერთი აქტუალურია. ტექნოგენური მიზეზებით ატმოსფეროში სითბური აირების კონცენტრაციის ზრდა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა შესამჩნევი და დღესაც მიმდინარეობს. ეს იწვევს ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული დედამიწის ზედაპირის ენერგეტიკული წონასწორობის დარღვევას, რისი მიზეზითაც დედამიწაზე ჰაერის საშუალო მრავაწლიანი ტემპერატურა ნელ-ნელა იმატებს და შესაბამისად იწვევს ჩვენი გარემომცველი ბუნების ცვლილებასა და სხვადასხვა კატაკლიზმებს. ამის მაგალითები ჩვენ საკმარისად გვქონდა გასულ წელს მანავში, ჩაილურში, პატარძეულსა და სხვა სოფლებში მომხდარი მეწყერული პროცესებისა და მათგან მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის სახით.

სხვადასხვა კონტინენტზე განლაგებული მეტეოსადგურების მონაცემებით, უკანასკნელი 120-150 წლის განმავლობაში, დედამიწის ზედაპირზე ჰაერის საშუალო მრავალწლიური ტემპერატურა 0.5-0.7 გრადუსი ცელსიუსითაა გაზრდილი. თუ სითბური აირების კონცენტრაციის მატების ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება, მაშინ XXI საუკუნის ბოლოსათვის, ჰაერის საშუალო მრავალწლიური ტემპერატურის გაზრდა, თანამედროვესთან შედარებით 1.50-5.80 ფარგლებშია მოსალოდნელი. ეს კი ზრდის სხვადასხვა სტიქიურ მოვლენათა რისკს, რომლის მოწმენი ამ ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ ვყოფილვართ.

ამ მოვლენათა პრევენციისა და თავიდან აცილების მიზნით ისე, როგორც მთელ ქვეყანაში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში უკვე რამდენიმე წელია მუშაობენ ამერიკის საერთაშორისო განვითარების გარემოს დაცვითი მეცნიერებებისა და პოლიტიკის სააგენტოს „სენნის“ სპეციალისტები. გასულ წლებში მათ მიერ საგარეჯოში ჩატარებულია სხვადასხვა ღონისძიებები, აწარმოებენ სისტემურ დაკვირვებებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ მოვლენებზე და ა.შ. მათი დაკვირვებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნალექების წლიური ჯამები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (1956-2005 წწ) 50-წლიან პერიოდში შესამჩნევ შემცირებას განიცდის.

დღე-ღამური ნალექების მაქსიმალური მნიშვნელობის სეზონური გადაჭარბება აღინიშნებოდა მხოლოდ ზაფხულის სეზონზე (5მმ).

შემცირებულია ქარის საშუალო სიჩქარე ყველა სეზონზე (წლიური კლება 0.3მ/წ.

ზამთარი. ბოლო 25 წლის მანძილზე უმნიშვნელოდ დამთბარია და ნოტიო, გახანგრძლივებული მცირეწვიმიანი პერიოდებით.

გაზაფხულზე მომატებულია საშუალო ტემპერატურა (+0.2^{0}C). ტემპერატურის აწევის ხარჯზე შემცირებულია ყინვიანი დამეების რაოდენობა (-35 დღით) გაზაფხული უფრო თბილი და ნაკლებად ნალექიანია, რაც მოწმობს უხვნალექიანი დღეების ალბათობის შემცირებას. წაყინვების საშიშროება იკლებს.

ზაფხული ყველაზე მეტადაა დამთბარი. აწეულია როგორც მაქსიმალური, ისე მინიმალური ტემპერატურები. ცხელი დღეების რიცხვი გაზრდილია 110 დღით. ზაფხული გახდა უფრო თბილი, ნალექების რეჟიმის ცვლილება გამოხატულია უხვნალექიანი დღეების შემცირებისა და მცირენალექიანი დღეების გახშირებაში.

შემოდგომა. ამ სეზონზე საშუალო წლიური ტემპერატურა მომატებულია 0.3%-ით. მომატებულია ცხელი დღეების რაოდენობა, გაზრდილია ცივ დღეთა რიცხვი. წაყინვების რისკი კვლავ რჩება. ეს სეზონი საგარეჯოში უფრო თბილი და გახშირებული მცირენალექიანი დღეებით აღინიშნებოდა.

ამავე დაკვირვებით 2020-2050 წლების პერიოდში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსალოდნელია კლიმატის შემდეგი ცვლილებები:

ქარის საშუალო სიჩქარე მომავლის სცენარით ყველა სეზონზე და წლიურადაც საშუალო მნიშვნელობის ფარგლებშია. ამასთან, შემოდგომაზე იგი მცირდება და წინა პერიოდში გამოვლენილ კლებას გააგრძელებს. ზამთარში ქარის სიჩქარე მცირედ მოიმატებს.

ზამთარი: აღნიშნული პერიოდისათვის საშუალოდ +30-ით უფრო თბილი იქნება. შემცირდება ყინვიანი ღამეების რიცხვი. დაახლოებით 60%-ით შემცირდება ყინვიან დღეთა რაოდენობა. ზამთარი შერბილდება და გახდება უფრო ნალექიანი (მოიმატებს 10, 20 და 25 მმ-ზე მეტი რაოდენობის ნალექიან დღეთა რიცხვი).

გაზაფხული. ტემპერატურა საშუალოდ 1,50-ით მოიმატებს. ცივ დღეთა რაოდენობა შემცირდება, ხოლო ყინვიან დღეებს ფაქტობრივად აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი. მნიშვნელოვნად მოიმატებს ცხელ დღეთა რაოდენობა. ნავარაუდევია ტროპიკული ღამეების TR-20 გამოჩენაც (როცა ტემპერატურა 200-ზე მეტია) გაგრძელდება ნალექების ჯამების კლების ტენდენცია (4%). გაზაფხული საგარეჯოს მუნიციპალიტეტში უფრო თბილი და მშრალი იქნება.

ზაფხულში ჰაერის საშუალო ტემპერატურა, ისევე როგორც საშუალო მაქსიმუმი და მინიმუმი მოიმატებს (საშუალოდ 2-3^{0}C-ით). ზაფხულის ცხელი დღეების რაოდენობა მოიმატებს 42%-ით. მოსალოდნელია ტროპიკული ღამეების 5-ჯერ გაზრდაც. აღსანიშნავია 10 მმ მეტ ნალექიან დღეთა გაზრდა 30%-ით. ნალექების გაზრდილი ჯამური რაოდენობის გადანაწილება მოხდება მცირენალექიან დღეებზე.

შემოდგომაზე ყველაზე მცირედ საშუალო და საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა მოიმატებს (საშუალოდ 2-2.5^{0}C-ით). ცივი დღეების რაოდენობა საერთოდ აღარ დაფიქსირდება, ხოლო ყინვიანი ღამეების რაოდენობა შემცირდება 40%-ით. მნიშვნელოვნად მოიმატებს ცხელი დღეების რიცხვი (700 დღით მთელი 30 წლის პერიოდში, 42%), რაც უკანასკნელი პერიოდის მატებას გააგრძელებს. დღეთა რიცხვი 10 მმ-ზე მეტი ნალექით გაიზრდება 130 დღით (38%). ნაკლებად, მაგრამ მოიმატებს 20 მმ-ზე მეტ ნალექიან დღეთა რიცხვიც. ყველა ამ მონაცემით შემოდგომა გახდება უფრო თბილი, თუმცა წაყინვების შენარჩუნებული რისკით.

საინტერესოა, რა გავლენა ექნება სოფლის მეურნეობაზე გლობალურ დათბობას:

კლიმატის ცვლილება 2020-2050 წლებში ჰაერის ტემპერატურის 20-ით მატება ფერმერებისათვის ახალი სავარგულების ათვისების შესაძლებლობას იძლევა და არსებით უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე, თუ მოხდება ნიადაგის ტენით უზრუნველყოფა.

კლიმატის გლობალური დათბობის გავლენის შედეგად, აქტიურ ტემპერატურათა ჯამები (>10^{0}C) მატულობს და აგროკულტურების გავრცელების ზონებიც იცვლება – გადაადგილდება 200-300 მეტრით მაღლა საბაზისო ზონასთან შედარებით.

I ზონაში (500მ-მდე) სადაც მოდის საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბალი, სიმინდი და სხვა. შესაძლებელი იქნება ორი მოსავლის მიღება. კერძოდ, სანაწვერალო კულტურების – საგაზაფხულო ქერის, შვრიის, სიმინდის და სხვა.

II ზონაში (1000 მ-მდე), სადაც ამჟამად გავრცელებულია ვაზის საგვიანო ჯიშები (700-800მ), სიმინდის (900-1000მ) და სხვა კულტურები, ტემპერატურის 2^{0}C-ით მატებისას ვაზის საგვიანო ჯიში შეიძლება გავრცელდეს 1100-1200 მ სიმაღლემდე.

III ზონაში (1500მ-მდე) – ამჟამად აგროკლიმატური პირობებია ხორბლის (საშემოდგომო და საგაზაფხულო), სამარცვლე სიმინდის, ქერის, შვრიის, კარტოფილის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების წარმოებისათვის. ტემპერატურის 20ჩ-ით მატებისას, ვაზის საადრეო ჯიში შეიძლება გავრცელდეს 1300-1400 მ-მდე, სამარცვლე სიმინდის არეალი გაფართოვდეს და გავრცელდეს 1200-1300 მ სიმაღლემდე, საშემოდგომო ხორბალი 1500 მ და კიდევ უფრო მაღლა.

გაზაფხულზე ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურა 10^{0}C-ის ზევით უფრო ადრე აიწევს, ეს საშუალოდ 10 დღით უფრო ადრე მოხდება. შემოდგომაზე ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურა 10^{0}C-ის ქვევით უფრო გვიან გადავა. ეს საშუალოდ 12 დღით უფრო ადრე მოხდება. ამიტომ სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 198 დღიდან მოიმატებს 220 დღემდე. ეს საშუალებას იძლევა, გაზაფხულზე 10 დღით ადრე ჩატარდეს ნიადაგში ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა და ჩახვნა, მარცვალი და ბოსტნეული კულტურების თესვა, ჩითილების ღია გრუნტში გადარგვა და სხვა. მაგალითად, თუ ვაზი ისხვლებოდა 20-25 მარტს, მომავალში გაზაფხულზე გახანგრძლივებული სავეგეტაციო პერიოდის გამო შესაძლოა გაისხლას უფრო ადრე, ანუ 10-15 მარტიდან.

სუსტი და საშუალო ინტენსივობის გვალვები 2020-2050 წლებში მოსალოდნელია ყოველ წელს, ხოლო ინტენსიურმა გვალვამ შეიძლება მოიმატოს და შეადგინოს 4-5 დღე.

2020-2050 წლებში საშემოდგომო ხორბლის, ვაზის და სხვა კულტურებისათვის კრიტიკული აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურები საბაზისოსთან შედარებით შემცირებულია 30^{0}C-ით, რაც ხელშემწყობ პირობად უნდა ჩაითვალოს აღნიშნული კულტურერბის გამოზამთრებისათვის.

ბოგდანოვკელი მკლავჭიდელი

კურიოზნარევი გაცნობა

თინა ილაური
577 95 14 88

ეს ახალგაზრდა ბოგდანოვკის რწმუნებულმა მიშა ობოლაშვილმა ისე შემოიყვანა რედაქციაში, მანამდე არავითარი ინფორმაცია არ გვქონდა არც მის და არც მისი მკლავჭიდელობის შესახებ. შემოიყვანა და წარდგენისას გვითხრა: – ეს ჩვენებური ბიჭია, მკლავჭიდში არაერთხელ გამარჯვებული, საზოგადოებრივ საწყისებზე სოფელშიც ავარჯიშებს ჩვენს არასრულწლოვნებსაც და სრულწლოვნებსაც, იქნებ რაიმე დაწეროთო და თან დაამატა მეტი „შინაურობისათვის“ – ვენერა ხარებაშვილის ძმის შვილია, ჩვენი სოფლის ყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარისო. თუმცა, სიმართლე ითქვას, ასეთი წარდგენა და „შუაკაცობა“ სულაც არ იქნებოდა საჭირო, რადგან მკლავჭიდი იმდენად ძველქართული სპორტის სახეობაა და იმდენად იშვიათია მისი მიმდევარი, რომ ისედაც სიხარულით შევხვდებოდით ვანოს. ცოტა ხანში სოფლის რწმუნებულმა აუცილებელი საქმე მოიმიზეზა და მისთვის ჩვეული მორიდებით დაგვტოვა. ჩვენს შორის საუბარი გაიბა. უპირველესად ვანოს სპეციალობა, პროფესია ვკითხე.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ფაკულტეტი დავამთავრე მეორე წელია და ჩემს უფროს ძმასთან და მამასთან ერთად სოფლის მეურნეობას „ვერკინებით“, გვაქვს სამი ჰექტარი ვენახი, მარცვლოვანი კულტურებიც მოგვყავს და ჯერ-ჯეროობით სამსახურის მოლოდინში უქმად ვერ ვჩერდებითო, – მითხრა ვანომ.

მკლავჭიდზეც ვისაუბრეთ. აღმოჩნდა, რომ ხუთი წელიწადია, რაც სპორტის ამ სახეობაში ვარჯიშობს. – სტუდენტებთან აუდიტორიაში თითქმის ყველა „დაჯაბნილი“ მყავდა, ყველას ვუწევდი ხელს და შემდგომ მიმიყვანეს უნივერსიტეტის მეორე კორპუსში კათედრაზე და როცა შემომოწმეს მაჯის ძალა, იმ დღიდან დავიწყე ვარჯიშიც და შეჯიბრებებშიც მონაწილეობა. მონაწილეობა მაქვს მიღებული 2009, 2010, 2011 წლების უნივერსიადებში, კახეთის, მესტიის, თურქეთის შეჯიბრებებში. ზოგან პირველ ადგილს დავჯერდი, ზოგან II-III-საც, – მეუბნება ვანო.

გულდასმით ვუსმენ, მაგრამ რაღაც „ეჭვი მეპარება“ თანდათან. ეს თუ მკლავჭიდელია, ასეთი წვრილი მაჯის პატრონი?! და თან თვალს ხშირად ვაპარებ ხელებისკენ. „კურტკიდან“ მხოლოდ ხელი, მაჯა მოუჩანს ხომ?! ზამთარია და იდაყვამდე ვერ შეხედავ. თვითონაც საკმაოდ თხელი, მაღალი ბიჭია, რა ვიცი, მასში სპორტული ჩანს რამე?! ხანდახან თანამშრომლებსაც გადავხედავ. თუმცა, უშედეგოდ, ისინი კომპიუტერს ჩასჩერებიან. ისე, სოსო ჯაჭვლიანიც თხელი აღნაგობის ჩანს ტელევიზორიდან, მაგრამ ცნობილი მკლავჭიდელია და შეკითხვებს ვაყოვნებ. გონება ახლა იმით იძაბება, დავიჯერო, მიშა ობოლაშვილმა „საშაყიროდ“ შემოიყვანა, რომ მერე პაროდისტ დათო როსტომაშვილივით ჩემზე სხვები აცინოს?! თავს ვიწყნარებ – მიშა საუბრისას წითლდება, შეუძლებელია ჩვენი დიდი ხნის ნაცნობობა ამ იუმორით დაამთავროს, არც 1 აპრილია, რა ვიცი... ვანო კი „გამოცდას“ კარგად უძლებს. ახლა მკლავჭიდელები ჩამოვათვლევინე: ზაურ ცხადაძე (მეც ვიხსენებ, კი, ასეთი ტელევიზიის, გაზეთების საშუალებით გამიგია), სოსო ჯაჭვლიანი (ჩვენი მსახიობი და მისი ინტერვიუებიც მომისმენია და წამიკითხავს), ერეკლე გურჩიანი – საქართველოს მკლავჭიდის ნაკრების პრეზიდენტი (მახსოვს ტელევიზიიდან მისი გაპრეზიდენტების ამბებიც), ჯაბა გეთიაშვილი, გენადი კვიკვინია (ამას უკვე ვერ „ვცნობ“ – ხაზი ყველგან ჩემია თ.ი.).

– საგარეჯოს რაიონში თუ იყო ან არის მკლავჭიდელი?

– 35 წლის ოთარ თედიაშვილი საგარეჯოელია. შეიძლება ითქვას, რომ კახეთში მართლაც უძლიერესი პიროვნებაა მკლავჭიდში.

– ვანო, მკლავჭიდში მთავარი დატვირთვა რომ ხელზე მოდის, თვითონ ტერმინიდანაც ჩანს, მაგრამ მაინც ანატომიურად რომ ახსნა, ხელის რომელ კუნთებზე მოდის პაექრობისას დატვირთვა?

– ამ შემთხვევაში ხდება ორთავა კუნთის ანუ ბიცეპსი (ლათინურად) და მეორე – პირამიდა ანუ მხარსხივის კუნთის გადაწევა. ამ ორიდან ერთ-ერთი კუნთი მაინც უნდა იყოს კარგად განვითარებული. ძირითადი დატვირთვა მაჯაზე, თითებზე, მხარზე, ბიცეპზე, მხარსხივის კუნთზე და ზურგის კუნთზე მოდის.

თანდათან ვატყობ ჩემს თავს, ეჭვი მართლაც ძლიერდება და უცბათ, ყოველგვარი მორიდების გარეშე ვეუბნები: – კი, მაგრამ, ვანო, ეგეთი წვრილი მაჯის პატრონს (ქალსაც კი შეშურდება გრძელი, თხელი თითები, წვრილი მაჯა) როგორ შეგიძლია მკლავჭიდელი იყო?

ვანო უცბად დაიბნა, გაწითლდა და ჩემი თანამშრომლების თანდასწრებით „კურტკას“ იხდის მარჯვენა ხელზე, შემდეგ მაღლა ქაჩავს „ჯემპრსაც“ და ჯერ გაოცებისგან ფეხზე ვდგები, – ვანომ ხელის ორთავა, ჩვეულებრივი კუნთის მაგიერ (ჩემთვის ჩვეულებრივი კუნთის), კარგად განვითარებული კი არა, წონით ალბათ 2-3 კგ კუნთი გვიჩვენა. სკამზე დავეშვი და ჩემს ეჭვებს ისეთი ხარხარი ავუტეხე, თანამშრომლები გაკვირვებულები მიყურებდნენ, თუმცა, არც იმათ „ადგათ“ კარგი დღე, ისინიც იცინოდნენ. კარგა ხანს ვეღარ დავწყნარდით. მკლავჭიდელს ბოდიში მოვუხადე. თუმცა, ვანოს არც გაჰკვირვებია ჩემი არც „ეჭვების“ და არც სიცილის. ასე თურმე ბევრს ემართება ვანოსთან საუბრისას, ალბათ ისეთს – ჩემსავით, ვისაც მკლავჭიდელის შესახებ ნაკლები ინფორმაცია აქვს. მომავლის გეგმებზეც ვისაუბრეთ და დღევანდელ სპორტულ საქმიანობაზეც.

– ბოგდანოვკაში ძირითადად ჭიდაობის სექცია მუშაობს და საკმაოდ ეფექტურად. პირველად, როცა სურვილი გამოვთქვი სულაც საზოგადოებრივ საწყისებზე ვავარჯიშებ ახალგაზრდებს და არასრულწლოვნებს მკლავჭიდში – მეთქი, ძალიან ბევრმა გამოთქვა სურვილი, მაგრამ შემდეგ მობილურმა ტელეფონმა და კომპიუტერმა „გადაძალა“ ბევრი და ისეთებიღა დარჩნენ სავარჯიშოდ, ვისაც აინტერესებს და მონაცემებიც აქვს. საქართველოს ჩემპიონატი აპრილშია, ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართება, სადაც მეც და ჩემი არასრულწლოვანი (სკოლის მოსწავლეები) მივიღებთ მონაწილეობას. საქმე იმაშია, რომ მკლავჭიდი ოლიმპიურ თამაშებში არ არის შეტანილი. 80 ქვეყნის ხელმოწერაა საჭირო, რომ შეიტანონ ოლიმპიური თამაშების სიაში. ვნახოთ, მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები. აპრილში ვინც გაიმარჯვებს, შემდეგ ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

დამშვიდობებისას ვანოს წარმატებები ვუსურვეთ და საგაზეთოდ სურათიც გადავუღეთ.

ფეხბურთი

„გარეჯმა“ ვარჯიშები განაახლა

მწვრთნელები საპრიზო სამეულს უმიზნებენ

გივი დაბახიშვილი
577 95 14 08

ამ დღეებში გამოქვეყნდა საქართველოს 2011-2012 წლების ეროვნული ჩემპიონატის მესამე – „იმედის“ ლიგის პირველი ტურის გათამაშების ცხრილი, სადაც მონაწილე საგარეჯოს „გარეჯს“ მეოთხე ადგილი უკავია. გათამაშებაში მონაწილე 12 გუნდს შორის ნათამაშები 11 მატჩიდან „გარეჯის“ ბალანსზე ექვსი მოგება, 1 ფრე და 4 წაგება ირიცხება. ბურთების შეფარდება – 24 გატანილი და 16 საპასუხო გოლი, რითაც გუნდმა 19 ქულის დაგროვება შეძლო. ამ შედეგით „გარეჯი“ ერთი ქულით ჩამორჩება საპრიზო სამეულის მესამე ადგილზე გასულ ელიტარულ კლუბ „ელიტ-ჯორჯიას“ და ასწრებს ისეთ გუნდებს, როგორებიც თენგიზ სულაქველიძისა და რევაზ ძოძუაშვილის აკადემიის გუნდებია, რომელთა მწვრთნელებად თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელები ვახტანგ კოპალეიშვილი და თავად რევაზ ძოძუაშვილი არიან. ტურის დამთავრებიდან აქტიური დასვენების შემდგომ, 10 თებერვლიდან „გარეჯმა“ ვარჯიში განაახლა. 15-20 მარტიდან კი მეორე ტურის გათამაშება იწყება, სადაც გუნდის მწვრთნელები უფრო სერიოზულ შედეგებს გეგმავენ.

– მეორე ტურის გათამაშებას გუნდი განახლებული შემადგენლობითა და შემართებით ხვდება, – თქვა ჩვენთან საუბარში „გარეჯის“ მწვრთნელმა გოგა მაისურაძემ. – საქმე ის არის, რომ გუნდიდან წავიდა ორი ფეხბურთელი ირაკლი ძაძუა, რომელიც გაგრის „დინამოში“ გადავიდა სათამაშოდ, დავით დამენია თბილისის „მერანში“. მათ ნაცვლად გუნდში 1996-97 წლიანთა სარეზერვო გუნდიდან ავიყვანეთ გუგა გოდერძიშვილი და დათო მეიფარიანი. წელს პირველად გუნდში დამხმარე მწვრთნელად დაინიშნა რეზო ხებრელაშვილი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაწეული დახმარებისა და გუნდის პოტენციალის გათვალისწინებით, რეალური შანსი გვაქვს საპრიზო სამეულში მოსახვედრად. მომავლის იმედებს ამყარებს ისიც, რომ ლიდერი გუნდები საგარეჯოში ჩამოდიან სათამაშოდ. აი, ამ მიზნებითა და შემართებით შეუდგა ახალი სეზონისათვის ვარჯიშს გუნდი, თოვლს რომ აიღებს კი უფრო ინტენსიურად მოვკიდებთ ხელს ფეხბურთელების მომზადებას. დიდ იმედებს ვამყარებთ დამხმარე მწვრთნელის მუშაობაზეც. რეზო ხებრელაშვილს გამოცდილება არ აკლია და კარგი შენაძენია გუნდისათვის. თებერვლის ბოლოსთვის დაგეგმილი გვაქვს გასასინჯი, ამხანაგური მატჩების გამართვა. გასულ წელს – პირველი ტურის გათამაშებისას ჩვენ სულ ცოტა, ერთი ქულა დაგვაკლდა საპრიზო სამეულში მოსახვედრად, წელს კი, თუ ფორტუნამაც ინება, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ სამეულში შევიდეთ. რა თქმა უნდა, პარალელურად ყურადღება უნდა დაეთმოს პატარა ასაკის ფეხბურთელთა მომზადებასაც, რადგან დიდი გუნდი აქედან იღებს ძირითად შევსებას და აკეთებს შედეგებს. ეს გუნდები გარეჯული ფეხბურთის ოქროს ფონდია და მეტი მზრუნველობა სჭირდებათ.

წინადადება

მდინარე თვალთხევზე, ე.წ. გაღმაუბნისა და სტალინის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდი, როგორც ცნობილია, დაცვის პოლიციის ყოფილი უფროსის, აწ გარდაცვლილი მიხეილ არჩვაძის თაოსნობით გაკეთდა 80-იან წლებში. ასევე, მისი თაოსნობითვე დაცვის პოლიციის შენობას მიემატა სპორტული დარბაზი, სადაც დღეს წარმატებით ვარჯიშობენ საგარეჯოელი პატარა მოჭიდავეებიც. იქნებ ამ ხიდის ან დარბაზისთვის მიხეილ არჩუაძის სახელი მიენიჭებინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. ამით, მომავალ თაობასაც ვასწავლიდით ამაგდარი ადამიანების პატივისცემას და ეს ჟესტი სიკეთის მკეთებელი ადამიანის დაფასებაც იქნება.

გივი კარანაძე,
ქ. საგარეჯო

თავისუფალი ჭიდაობა

ოთარ არჩუაძის ხსოვნის ტურნირი საგარეჯოში

10-12 თებერვალს საგარეჯოში ჩატარდა საქართველოს მრავალგზის პრიზიორის, სპორტის ოსტატის ოთარ არჩუაძის ხსოვნის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1999-2002 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის. საგარეჯოელი ფალავნის ხსოვნის პატივის მისაგებად საგარეჯოს სტუმრობდნენ თბილისის, გლდანისა და დიღმის, გურჯაანის, ახმეტის, ყვარლის, ბოლნისის, ქუთაისის სპორტულ;ი დაწესებულებების ნორჩი ფალავნები. ტურნირზე ოთარ არჩუაძის პრიზის გარდა დაწესებული იყო და გათამაშდა მიხეილ არჩუაძის, მამუკა მარიდაშვილის, გუგული ერბოწონაშვილისა და იოსებ ცერაძის სახელობის პრიზები, რომელთა მოპოვებას 14 წონითი კატეგორიის მოჭიდავეები ეცილებოდნენ ერთმანეთს. საგარეჯოელი მოჭიდავეებიდან ერთ-ერთი პრიზის მიღების პატივი 38 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ ნიკა მესროფოვს ხვდა წილად, დანარჩენი პრიზები კი ახმეტელმა, ყვარელელმა და ქუთაისელმა მოჭიდავეებმა გაინაწილეს.

საგარეჯოელი მოჭიდავეებიდან ტურნირის ჩემპიონი კიდევ ერთი 66 კგ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ბექა ჭიაბერაშვილი გახდა. მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს გიგა დოლენჯაშვილმა (23კგ), გიგლა შათირიშვილმა (50კგ), დავით მარტაშვილმა (53კგ), ირაკლი ბედიაშვილმა (59კგ) და თომა რევაზიშვილმა (66კგ).

მესამე პრიზიორები გახდნენ ლაშა ჩახმახაშვილი (35კგ), ნიკა კევლიშვილი (38კგ), მიშიკო ბოჭორიძე (42კგ), გიორგი ბურჯანაძე (42კგ), გიორგი ჩუნთიშვილი (46კგ) და ნოდარ ქიზიყურაშვილი (+73კგ).

დიდი მარხვა დაიწყო

დიდი მარხვა, მარხვა – განსაკუთრებული სინანულისა და თავმდაბლობისა

27 თებერვალს დაიწყო წინასაღდგომო მარხვა, რომელსაც „დიდმარხვას“ უწოდებენ თავისი მნიშვნელობის გამო. იგი ორმოცდაცხრა დღეს მოიცავს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მომარხულე ნელ-ნელა ამზადებს გულს, გონებას, სულს, სხეულს უფლის ბრწყინვალე აღდგომასთან შესახვედრად. მარხვა დიდი დღესასწაულების წინ ამ დღესასწაულებთან ღირსეულად შესახვედრად არის დაწესებული. მარხვა ხომ ცოდვების მონანიებისა და შემუსვრის საუკეთესო საშუალებაა. მარხვა პირველ რიგში საკუთარ სულში ჩაღრმავებაა და იქ უფალთან პირისპირ ყოფნაა. ეს სწორედ ის დროა – თვითანალიზის დრო, საკუთარი ცხოვრების ყურადღებით გადახედვის, მეტნაკლებად აქტიური სულიერი ღვაწლის პერიოდი, რაც ცოდვების აღმოფხვრას, სხეულისა და სულის განწმენდას ემსახურება.

წმინდა ეკლესიამ რამდენიმე მარხვა დაგვიწესა: აღდგომის, ქრისტეშობის, ღვთისმშობლის მიძინების, წმინდა მოციქულების – პეტრესა და პავლესი. ვმარხულობთ ასევე ყოველი კვირის ოთხშაბათსა და პარასკევს ნიშნად იმისა, რომ მაცხოვარი ოთხშაბათ დღეს გასცეს, პარასკევს კი – ჯვარზე გააკრეს. წმინდა ეკლესია გამოყოფს ცალკე შვიდ კვირას, როგორც განსაკუთრებულ დროს სინანულისათვის და მოგვიწოდებს ღვაწლისათვის, რათა გავიძარცვოთ ძველი იგი კაცი, გახრწნილი გულისთქმითა მისებრ საცთურისა და შევიმოსოთ ახალი.

რაში გვჭირდება სინანული და რა არის იგი? სწორედ ამაზე გვაძლევს პასუხს დიდი მარხვა, რომელიც ჭეშმარიტად სინანულის სკოლაა, რისი დახმარებითაც თითოეულმა მართლმადიდებელმა ყოველწლიურად უნდა შეძლოს რწმენის გაღრმავება. „მარხვა დედაა სიწმინდისა, ცოდვათა მამხილებელი და გამამტყუნებელი. ძლიერი შემწეა სინანულისა და ანგელოზებრივი მოქალაქეობისა. ჭეშმარიტი მარხვა არის არა მარტო ხორციელი, არამედ ხორციელი საქმეც. გავიხსენოთ წმინდა ბასილი დიდის სიტყვებიც, რომ კაცნი, რომლებიც მოაკლდნენ საქმესა და იშლიან ცუდთა საქმეთა, დაემსგავსებიან ეშმაკს, რომელიც საერთოდ არაფერს ჭამს, მაგრამ ღვთის წინააღმდეგობას არ იშლის.

ჭეშმარიტი მარხვა, ძმათა, მტერთა, მოძულეთა ბრალთა მიტევებაში მდგომარეობს, ჭეშმარიტი მარხვა ქველმოქმედებაცაა და მოწყალებაც, – გვასწავლის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე – სული ლოცვით და მარხვით პოულობს ღმერთთან ერთობას.

ჭეშმარიტი მარხვა კი ნიშნავს შინაგან განწმენდას, სიყვარულთან დაბრუნებას, ამაოდ დახარჯული ცხოვრების სიძულვილს, შურის, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას. აქვე გავიხსენოთ რუსი წმინდა მამის სერაფიმე საროველის სიტყვები: „ჭამა-სმისგან ბევრი მინახავს დასნეულებული, ხოლო მარხვისგან – არავინ“.

დედაეკლესია კი მთელი დიდი მარხვის განმავლობაში ყოველდღე იმეორებს წმინდა ეფრემ ასურის ლოცვას „ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა“, რომელიც განსაკუთრებულად სიხარულისა და თავმდაბლობისკენ მოგვიწოდებს.

მაშ, ასე, წინ გველოდება ორმოცდღიანი მარხვა და ვნების შვიდეული, რომელიც მთავრდება სულიერი ზეიმით – აღდგომით უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

ინებოს უფალმა, რომ მარხვის მადლით გაბრწყინებულნი, ღირსნი გავმხდარიყავით ამა ქვეყანასა ზედა წმიდათა გულითა გვედიდებინოს ანგელოზთა თანა, მკვდრეთით აღმდგარი უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

მარხვის მადლი

ეს კაცი ოთხშაბათ-პარასკევს მარხვას არ არღვევდა

ამბობენ, ერთხელ ამბა პახუმმა დაკრძალვის პროცესიაზე დაინახა, ორი ანგელოზი მიცვალებულის კუბოს მიჰყვებოდა. ფიქრში ღმერთს ჰკითხა მათი ვინაობა. ეს ორი ანგელოზი მასთან მივიდა და მან ჰკითხა: – თქვენ ანგელოზები ხართ და მკვდარს რატომ მიაცილებთო. მიუგეს, – ერთი ჩვენგანი ოთხშაბათის ანგელოზია, მეორე – პარასკევის. ეს კაცი ოთხშაბათ-პარასკევის მარხვას არ არღვევდა, ამიტომ მივაცილებთ. რადგანაც სიკვდილამდე შეინახა მარხვა, ჩვენ განვადიდებთ მას, უფლისთვის კეთილად მოღვაწესო.

1921 წლის თებერვლის გმირების გახსენება

კოჯრის ბრძოლების გმირი პატარძეულიდან

ალექსანდრე ელერდაშვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე
790-46-72-36

თებერვლის ბოლო რიცხვებში ქართველმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა რუსული აგრესიის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის გმირული ეპიზოდები, მათ შორის მრავლად იყვნენ გარე-კახეთის სახელოვანი მებრძოლებიც, რომელთა შესახებ მწირი ცნობები თუ გამოქვეყნებულა ქართულ პრესაში.

კოჯრის ბრძოლების ერთ-ერთი გმირი იყო პატარძეულის მკვიდრი, ქართული იუნკრების სკოლის კურსანტი ნიკოლოზ ლავრენტის ძე მათიკაშვილი, რომელმაც რუსული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლების ეპიზოდები ნათელ ფერებში დაგვიტოვა თავის ცნობილ მემუარულ ნაწარმოებში „იუნკრები“.

ნიკოლოზ ლავრენტის ძე მათიკაშვილი დაიბადა 1900 წელს თბილისის მაზრის სოფელ პატარძეულში. სოფლის დაწყებითი სკოლის პედაგოგის ოჯახში. მამამისი ლავრენტი მათიკაშვილი იყო ჯერ პატარძეულის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, დედამისი მარიამი (მაიკო) იყო ნინოწმინდის დეკანოზის ალექსი გულისაშვილის ქალიშვილი, გოგლა ლეონიძის დეიდა, რომელიც გოგლა ლეონიძემ გულთბილად აღწერა თავის პროზაულ ნაწარმოებ „ნატვრის ხეში“ .პატარა ნიკოლოზს ჯერ პატარძეულის დაწყებით სკოლაში უსწავლია, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად შესულა ახლადგახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე.

როცა საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას დასჭირდა საკუთარი სამხედრო ეროვნული კადრების მომზადება ჭაბუკი ნიკოლოზი სასწავლებლად გადავიდა თბილისის იუნკერთა (ოფიცერთა) სასწავლებელში, რომლის დამთავრება არ დასცალდა, ვინაიდან საქართველოს დასაპყრობად თავს დაესხა საბჭოთა რუსეთის წითელი არმია და საშიშროება შეუქმნა მის დედაქალაქ თბილისს. როცა წითელი არმიის ნაწილები თბილისს მიუახლოვდნენ მის დასაცავად დადგნენ იუნკერთა საოფიცრო სკოლის კურსანტები 18-20 წლის ახალგაზრდები.

ნიკოლოზ მათიკაშვილმა თავის თანაკურსელებთან ერთად კოჯორთან და ტაბახმელასთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა. ნიკოლოზ მათიკაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც რიცხობრივად ჭარბ წითელარმიელების წინააღმდეგ ხელჩართულ ბრძოლებშიც მიიღო მონაწილეობა და გმირობისა და თავგანწირვის მაგალითი უჩვენა.

როცა რუსეთის წითელმა არმიამ თბილისი აიღო, ქართულმა შეიარაღებულმა ნაწილებმა საქართველოს მთავრობის ბრძანებით უკან დაიხიეს და საქართველოს მთავრობასთან ერთად თბილისიდან ბათუმისკენ ევაკუირება დაიწყეს, საქართველოს მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით საფრანგეთში გაემგზავრა.

საქართველოს „იუნკრებიც“ საფრანგეთის გემ „მარიათი“ საზღვარგარეთ, ჯერ თურქეთში, შემდეგ საბერძნეთში გაემგზავრა. ბოლოს პოლონეთში გაემგზავრნენ. პოლონეთში ნიკოლოზ მათიკაშვილმა თანამებრძოლ „იუნკრებთან“ ერთად პოლონეთის ჯარში იმსახურა, იქ დაამტავრა პოლონეთის უმაღლესი სამხედრო აკადემია და პოლონეთის არმიაში ოფიცრად დაიწყო სამსახური.

პატარძეულელი ნიკოლოზ ლავრენტის ძე მათიკაშვილის ოცნება იყო ისევ სამშობლოში დაბრუნებულიყო და საქართველოს აღორძინებისა და ბედნიერებისათვის ებრძოლა, მაგრამ ნ. მათიკაშვილის ეს ოცნება აუხდენელი დარჩა იმდროინდელი გართულებული საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გამო. ნიკოლოზ მათიკაშვილმა მიიღო პოლონეთის მოქალაქეობა. თავისი საბრძოლო შენაერთით ნიკოლოზ მათიკაშვილს მონაწილეობა მიუღია გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის დაცვის, ხოლო შემდეგ ფაშისტი ოკუპანტებისაგან მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთაგან პოლონეთის განთავისუფლების შემდეგ ნიკოლოზ მათიკაშვილმა ცოლად შეირთო პოლონელი ქალი და დასახლდა ვარშავის მახლობლად.

ნიკოლოზ მათიკაშვილი სამხედრო სამსახურს კარგად უთავსებდა ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას. აქტიურად თანამშრომლობდა ემიგრანტულ ჟურნალ „ივერიაში“, რომელიც პარიზში გამოდიოდა, ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. ქართულიდან პოლონურად თარგმნა ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებები.

ნიკოლოზ მათიკაშვილი ღრმა მოხუცებულობამდე მსახურობდა პოლონეთის არმიაში და მიაღწია პოლკოვნიკის ჩინს. დაჯილდოებულია პოლონეთის მთავრობის მრავალი ჯილდოთი.

ნიკოლოზ მათიკაშვილი გარდაიცვალა 1997 წელს, იგი თავის მეუღლე პანა ხანასთან ერთად დაკრძალულია ვარშავის მახლობლად სოფელ ზალესიე დოლნაში.

„მართალთა შინა წიაღში“

როზა ლაფაჩიშვილი



ერთი წელი გავიდა შენი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ, დედა. მუდამ მოუსვენარი, ფუსფუსა, შვილზე, შვილიშვილებზე და ახლობლებზე მზრუნველი იყავი, სწორედ ასეთად დაგამახსოვრდი ყველას. სამსახურში უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობდი მინდობილი საქმისადმი და თითოეული თანამშრომლის მიმართ, ამიტომაც დამსახურებული პოლიგრაფისტის წოდებაც მოგანიჭეს. ერთადერთ შვილს შეალიე შენი ახალგაზრდობა, სიხარულიც და შენი ცხოვრების წლებიც. შემდეგ შვილიშვილების გაზრდასა და მათ დავაუკაცებას შეჰყურებდი, ამაყობდი და გეიმედებოდა, რომ ნამდვილ ქართველებად და ვაუკაცებად დაზარდე ისინი. ყოველთვის მათზე ფიქრობდი და ზრუნავდი, გინდოდა მალე შესწრებოდი მათ დაოჯახებას, მაგრამ ამას კი ვეღარ მოესწარი... იმ დროს გაგვშორდი, როცა მართლაც უნდა გაგეხარა შენი შვილიშვილების ბედნიერებით. რა ვქნათ, ასე ყოფილა არსთაგამრიგის ნება, ნათელში გამყოფოს უფალმა, ჩვენ ვილოცებთ შენი სულისთვის, საფლავზე დაგინთებთ სანთლებს და ყვავილებით შეგიმკობთ შენს უკანასკნელ ნავსაყუდელს.

შვილი თინიკო მჭედლიშვილი-არჩუაძე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, ქართულ ჭიდაობაში, სამბოსა და ძიუდოში, მრავალგზის სსრკ შეიარაღებული ძალების ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის

როინ ქაიხოსროშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შპს საგარეჯოს საინფორმაციო გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ქურდოვანიძეს მამიდაშვილის

როინ ქაიხოსროშვილის

გარდაცვალების გამო.

საინტერესო ამბები

ნეტბუკები საჩუქრად

ფიჯის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა, ფიჯის რესპუბლიკას საქართველოში წარმოებული 200 ნეტბუკი საჩუქრად გადასცეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ფიჯის მხარემ საჩუქრისთვის საქართველოს მთავრობას ოფიციალური მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ ეს საჩუქარი დროული იყო ფიჯისთვის, რადგან წელს დაიწყეს განათლების სისტემის რეფორმირება და ამ პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტად არის მიჩნეული.

ალას თაფლობის თვე ჩაეშალა

რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია ალა პუგაჩოვასა და მისი ახალი მეუღლის მაქსიმ გალკინის შესახებ. თურმე ისინი თაფლობის თვის გატარებას შვეიცარიაში აპირებდნენ, მაგრამ ამას ხელი შეუშალა ვირუსმა, რომელიც „რუსული ესტრადის პრიმადონას“ შეეყარა. ამის მიუხედავად გალკინი მაინც გაემგზავრა შვეიცარიის ალპებში სასრიალოდ.

ამის მიუხედავად ალა პუგაჩოვა დეპრესიაში არ ჩავარდნილა და ახალგაზრდა მომღერალთა შესარჩევი კონკურსი ჩაატარა, სადაც, როგორც ამბობენ, განსაკუთრებული კეთილგანწყობა გამოიჩინა ახალგაზრდა მომღერლისადმი, რომელიც გარეგნულად მის ახალ ქმარს ჰგავდა.

ვეგეტარიანელთა დღესასწაული

ტაილანდში გაიმართა ვეგეტარიანელთა ტრადიციული ფესტივალი, რომელიც არატრადიციული ფორმებით მიმდინარეობს. ამ ფოტოებზე ასახულია ამ ფესტივალის ზოგიერთი მონაწილის მოქმედება.

ცოცხალი ქალღმერთი

კუმაარი ან კუმარი დევი ნეპალის ცოცხალი ინდუისტური ღმერთია. კუმაარი ხდება არასრულწლოვანი, გოგონა. მას ირჩევენ ნევარელთა შაკიას კასტიდან. ქალღმერთს თაყვანს სცემენ როგორც ინდუსები, ისე ბუდისტები. იგი ჩნდება მხოლოდ წელიწადში ცამეტჯერ, სპეციალურ დღეებში. დანარჩენ დროს კი მონასტერში ატარებს.

ᲕᲘᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თქვენთვის — ახალგაზრდებო!

EMORY-ს უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში (ატლანტა, აშშ) სამართლის სამაგისტრო პროგრამის საკონკურსო პირობები

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივ დონეზე საუკეთესო ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი პროფესიონალების თავმოყრას, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი ინიციატივებით განპირობებულ მუნიციპალურ განვითარებას და მომავალში შეიძლება გახდნენ საკუთარ თვითმმართველობებში ადგილობრივი პოლიტიკის დამგეგმავი და განმახორციელებელი წამყვანი პირები. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში სამინისტრომ წარმოებული კონსულტაციების შედეგად გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი ემორის სამართლის სკოლასთან, რომელიც გულისხმობს ყოველწლიურად განსაზღვრული რაოდენობის პირთათვის სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიწოდებას. EMORY-ს უნივერსიტეტი არის აშშ-ში, ატლანტაში (EMORY University, School of law). სწავლის პერიოდია 1 აგვისტო – 2012წ – 15 მაისი, 2013წ.

ემორის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვალდებული იქნება სწავლის დასრულებისთანავე დაბრუნდეს საქართველოში და იმუშაოს მინიმუმ 2 წელი შესაბამის ორგანოში. სამინისტროსთან შეუთანხმებლად ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში კურსდამთავრებული პასუხისმგებელი იქნება მის სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობისას გაწეული ხარჯების სრული ოდენობით დაბრუნებაზე.

ამასთან, სამინისტრო უზრუნველყოფს მხოლოდ კონკურსში გამარჯვებული პირის დაფინანსებას აშშ-ში. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კურსებისა და პრაქტიკის გავლის შრომა და დროტევადობის გამო სამინისტრო მხარს არ უწერს გამარჯვებულის მიერ უახლოესი ოჯახის წევრების წაყვანას მთელი პროგრამის ვადით.

სამინისტრო გამარჯვებულ კონკურსანტთან და წარმდგენ ორგანოსთან ერთად ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრავს მხარეების უფლება-ვალდებულებებს.

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: იყოს საქართველოს მოქალაქე; ჰქონდეს უმაღლესი განათლება; კონკურსში მონაწილეობის დროისათვის მუშაობდეს საქართველოს ერთ-ერთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ან რეგიონულ ხელისუფლებაში; ასევე პირს, რომელიც შეიძლება დასაქმდეს სამაგისტრო კურსის დასრულების შემდგომ შესაბამის თვითმმარტველ ერთეულში და წარდგენილ იქნება თვითმმართველობის სახელით შსესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ. იგი თავისუფლად უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას; საოფისე კომპიუტერულ პროგრამებს; გამოირჩეოდეს კომუნიკაბელობით; გააჩნდეს ლიდერისათვის დამახასიათებელი თვისებები; შეეძლოს როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდური პრინციპით მუშაობა.

დამატებითი მოთხოვნების მიხედვით მას უნდა ჰქონდეს: შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელის ან სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მხარდაჭერის წერილი, რომელშიც მითითებული იქნება, რომ კანდიდატი სამაგისტრო კურსის დასრულებისთანავე სულ მცირე 2 წლის განმავლობაში იმუშავებს შესაბამის ორგანოში; ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (TOEFL – სულ მცირე 550 ქულა (წერილობით ტესტში) ან 213 ქულა (კომპიუტერულ ტესტში) ან IELTS – სულ მცირე 6.5 ქულა); საკონკურსო კომისიისთვის მისარებია ყველა აღიარებული ავტორიტეტული ინგლისური ტესტის სერტიფიკატი, რომლის უმაღლესი ქულაც მიღებული აქვს კანდიდატს.

რაც შეეხება კონკურსს, იგი ჩატარდება სამ ეტაპად. პირველ ტურში კანდიდატების შერჩევა იწარმოებს წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. კომისია მაქსიმუმ 2 კვირის ვადაში დაუკავშირდება მხოლოდ ტურში გამარჯვებულ პირებს. მეორე ტურისათვის შერჩეულ კანდიდატებს ჩაუტარდებათ წერითი ტესტირება. საკონკურსო კომისიის შემადგენლობას დაემატება ემორის სამართლის სკოლის წარმომადგენელი. კონკურსის შედეგები ეცნობება ამ ტურში მონაწილე ყველა კანდიდატს. კონკურსის მესამე ეტაპზე მოხდება კანდიდატებთან გასაუბრება, საუკეთესო კანდიდატების შერჩევის მიზნით. კონკურსის შედეგად გამოვლინდება გამარჯვებული და ასევე სარეზერვო კანდიდატი. კონკურსის შედეგები ეცნობება ყველა მონაწილეს.

განაცხადის წარდგენისას განაცხადს თანდართული დოკუმენტაციით წარადგენს კონკურსანტი. განაცხადი უნდა მოიცავდეს: განმცხადებლის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლს; განმცხადებლის ავტობიოგრაფიას (ჩV) ინგლისურ ენაზე. სამოტივაციო წერილს (არაუმეტეს 1 გვერდისა) ინგლისურ ენაზე; თვითმმართველობის ხელმძღვანელის ან სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის მხარდაჭერის წერილს ქართულ ენაზე; დიპლომის ასლს ნიშნების ჩანართთან ერთად; ინგლისური ენის ტესტის სერტიფიკატს.

დოკუმენტები წარდგენილ უნდა იქნეს ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: zaza@lsg.gov.ge da office@lsg.gov.ge. წერილის სათაურში უნდა მეთითოს „Emory Lav School Application – განმცხადებლის სახელი და გვარი“. განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2012 წლის 30 მარტი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ „ვანო ხუხუნაიშვილის სახელო9ბის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრს“, მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12 www.lsg.gov.ge; +995 32 2510 640 ან +995 599 60 37 67.

განცხადება

შპს „ჯეო ჰოსპიტალს“-ი აცხადებს ვაკანსიას საგარეჯოს მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში, რეგისტრატორის 5 საშტატო ერთეულზე (ანაზღაურება 350 ლარი)

წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

სააპლიკაციო ფორმა;

დაინტერესებულ კანდიდატებს ვთხოვთ აღნიშნული დოკუმენტაცია გამოგვიგზავნონ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე გეოჰოსპიტალს გმაილ.

ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 577-09-07-07 ან 577-14-14-07.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 2 მარტი.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488